ოქმი №4

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2025 წლის 25 მარტს.

სხდომა დაიწყო 11:30 საათზე, დამთავრდა 12:00 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – გ. წურწუმია, ე. ოდიშარია, ლ. ჯინორია, ბ. კალანდარიშვილი, ბ. შარტავა, ზ. ყურაშვილი, ზ. სანაია, გ. ოდიშარია, მ. მირცხულავა.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირები: ბ. მამულია, ე. ბერაია, ლ. ხუხუა. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზ. ნაჭყებია. საკრებულოს წევრი ს. სირია.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – გ. წურწუმია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2025 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

2. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
ზედამხედველობის სამსახურის უფროსი: ე. ბერაია

3. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი
მომსახურების ცენტრი-ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“-ს დირექტორი

4. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჯიხას პირველი ქუჩის მე-5 ჩიხის სახელდების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 9; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2025 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2025 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე".

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. განკარგულების პროექტი - ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2025 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე" - წარედგინოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

მოისმინეს: 2. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
ზედამხედველობის სამსახურის უფროსი: ე. ბერაია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში".

აზრი გამოთქვეს: მ. მირცხულავამ, გ. ოდიშარიამ, ი.კალანდარიშვილმა, გ. წურწუმიამ.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 3) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობა შეფასებულ იქნეს დამაკმაყოფილებლად.
2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი - სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე, რათა წარედგინოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

მოისმინეს: 3. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი"ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
ზედამხედველობის სამსახურის უფროსი: ე. ბერაია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი"ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში".

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი"ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობა შეფასებულ იქნეს დადებითად.
2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი - ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი"ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე, რათა წარედგინოს

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

მოისმინეს: 4. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჯიხას პირველი ქუჩის მე-5 ჩიხის სახელდების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 21 მარტს განცხადებით მიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატს ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილეს , ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჯიხას პირველი ქუჩის მე-5 ჩიხის მცხოვრებმა (აფხაზეთიდან დევნილებმა) ინიციატივით, სენაკის მუნიციპალიტეტის, ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელი ჯიხას პირველი ქუჩის მე-5 ჩიხს გადაერქვას სახელი და ეწოდოს სოხუმის ქუჩა. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 01 ივნისის #239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით მოგმართავთ საკრებულოს აღნიშნულთან დაკავშირებით მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება, სენაკის მუნიციპალიტეტის, ნოქლაქევის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელი ჯიხას პირველი ქუჩის მე-5 ჩიხს გადაერქვას სახელი და ეწოდოს სოხუმის ქუჩა.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მომზადდეს განკარგულების პროექტი და დასკვნა რათა წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს, რათა გადაიგზავნოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებასთან დაკავშირებით, შემდეგ სამთავრობო კომისიაში დადებითი დასკვნის მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარე: გიგა წურწუმია